



რეგიონალური ტელევიზიების ახალი ამბების
მონიტორინგი
წინასაარჩევნო პერიოდში

პროექტი # S-12-155

საანგარიშო პერიოდი: 15-21 ოქტომბერი, 2012 წელი

პროექტის ხანგრძლივობა: 11 ივნისი-10 დეკემბერი, 2012
პროექტის ბიუჯეტი: 31 000 დოლარი

მონიტორინგის მეთერთმეტე ეტაპის ძირითადი მიგნებებია:

- რეგიონალურ ტელეარხებზე მონიტორინგის სუბიექტების ძალიან მცირე ნაწილს ეთმობა დრო;
- ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა და კოალიცია „ქართული ოცნების“ გარდა, სხვა პოლიტიკური პარტიები ფაქტიურად აღარ შუქდებია;
- კიდევ უფრო გაიზარდა კოალიცია „ქართული ოცნების“ გამუქება;
- შენარჩუნდა სუბიექტების ნეიტრალურ ტონში გამუქების ტენდენცია;
- ტელეკომპანიების ნაწილი პოლიტიკურ მოვლენებზე მეტად აქცენტს რეგიონის სოციალურ, კულტურულ და ეკონომიკურ საკითხებზე აკეთებს.

ანგარიში წარმოადგენს "ინტერნიუსი - საქართველოს" მონიტორინგის ჯგუფის მიერ 2012 წლის 15-21 ოქტომბრის მანძილზე ჩატარებული კვლევის შედეგებს. მედიის მონიტორინგი ხელს უწყობს მისი პროფესიული სტანდარტის ზრდას და დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი ჟურნალისტიკის განვითარებას. ჩვენი კვლევის მიზანია საქართველოს რეგიონალური ტელემაუწყებლების მთავარ საინფორმაციო გადაცემებზე დაკვირვებით გამოვავლინოთ მედიის მიერ წინასაარჩევნო კამპანიის გამუქების მიმდინარეობა და ტენდენციები.

ანალიზი და მეთოდოლოგია

კვლევა განხორციელდა საქართველოს 20 რეგიონალურ ტელემაუწყებელზე: "25-ე არხი" (ქ. ბათუმი), "რიონი" (ქ. ქუთაისი), ქვემო ქართლის ტელე/რადიო კომპანია (ქ. რუსთავი), "ოდიში" (ქ. ზუგდიდი), "თანამგზავრი" (ქ. თელავი), "მე-9 არხი" (ქ. ახალციხე), "თრიალეთი" (ქ. გორი), "გურია" (ქ. ოზურგეთი), "იმერვიზია" (ჭიათურა), "არგო" (ქ. ზესტაფონი), "გურჯაანი" (ქ. გურჯაანი), "ბორჯომი" (ქ. ბორჯომი), მარნეული ტვ (ქ. მარნეული), "ლტვ" (ქ. ლაგოდეხი), "მე-12 არხი" (ქ. ბოლნისი), "მეგა ტვ" (ქ. ხონი), "ზარი" (ქ. სამტრედია), "მე-9 ტალღა" (ქ. ფოთი), "ქრონიკა" (ქ. დუშეთი), "ეგრისი" (ქ. სენაკი).

15-21 ოქტომბრის მანძილზე საინფორმაციო გადაცემები ჯერჯერობით ისევ არ ჰქონდათ ტელეკომპანია "ქრონიკას" (ქ. დუშეთი) და "ეგრისს" (ქ. სენაკი).

დაკვირვება მიმდინარეობდა რეგიონალური ტელემაუწყებლების სადამოს მთავარ საინფორმაციო გამოშვებებზე ე.წ. “პრაიმ-ტაიმის” პერიოდში, როდესაც მაყურებელთა რაოდენობა პიკს აღწევს.

პროექტში გამოყენებული მეთოდოლოგია ეფუძნება რაოდენობრივ და თვისებრივ კვლევებს. რაოდენობრივი მონიტორინგი განსაზღვრავს რაოდენობრივ ინდიკატორებს, რომლებიც შეიძლება დაითვალოს და გაანალიზდეს. ხოლო თვისებრივი მონიტორინგი გამოიყენება მედიის საშუალებების მუშაობის ეფექტურობის შესაფასებლად ისეთ მაჩვენებლებთან მიმართებაში, როგორცაა ეთიკური ან პროფესიონალური სტანდარტები, რომელთა რაოდენობრივად გაზომვა რთულია. კერძოდ, ყურადღება ექცეოდა ინფორმაციის დამახინჯების, დაუბალანსებელი გაშუქების, ტენდენციურობის და ნებისმიერ ისეთ ფაქტს, რომელიც მნიშვნელოვანია ინფორმაციის ხარისხის წარმოსადგენად.

რაოდენობრივი მონაცემები მოიცავს ეთერში გასული იმ სიუჟეტების ქრონომეტრაჟს (წამი), რომლებიც ჩვენს მიერ წინასწარ შერჩეულ სუბიექტებს შესახებ მომზადდა ან სადაც ისინი ნახსენები იყვნენ.

დიაგრამებზე სუბიექტებისთვის დათმობილი დრო მოცემულია წამებში. თუ დიაგრამაზე რომელიმე პოლიტიკური პარტია, რომელიც მონიტორინგის სუბიექტს წარმოადგენს, არ არის წარმოდგენილი, ეს იმას ნიშნავს, რომ ამ პერიოდში ამა თუ იმ არხზე მას დრო საერთოდ არ დაეთმო.

პირდაპირი და ირიბი გაშუქება გვიჩვენებს, სიუჟეტში სუბიექტი თვითონ საუბრობს თუ მასზე საუბრობენ სხვები: ჟურნალისტი ან სხვა რესპონდენტები. დიაგრამებზე პირდაპირი და ირიბი გაშუქება მოცემულია პროცენტებში. 100 პროცენტად აღებულია თითოეული სუბიექტისთვის ამა თუ იმ არხზე დათმობილი დრო.

გაშუქების ტონი ენიჭება სუბიექტს მაშინ, როცა მასზე საუბრობენ ირიბად და ასევე მაშინ, როდესაც ის თვითონ საუბრობს თავის თავზე, სხვა სუბიექტებზე ან ზოგად საკითხებზე. დიაგრამებზე ნაჩვენებია ტონის სამი კატეგორია: პოზიტიური, ნეიტრალური და ნეგატიური. გაშუქების ტონი მოცემულია პროცენტებში. 100 პროცენტად აღებულია თითოეული სუბიექტისთვის ამ არხზე დათმობილი დრო.

რეგიონალური ტელევიზიების ახალი ამბების მონიტორინგი

საინფორმაციო გამოშვებებზე დაკვირვებისას ასევე ყურადღება ექცეოდა იმას, რომელ მოვლენებს აშუქებდნენ ტელეკომპანიები რეგიონალურს თუ ცენტრალურს.


თვისებრივი მონაცემების საფუძველზე მოხდება მედიის მუშაობის ეფექტურობის ეთიკური ან პროფესიული სტანდარტების დაცვის თვალსაზრისით შეფასება. თვისებრივი ნაწილი აერთიანებს ისეთ კომპონენტებს როგორცაა ბალანსი, ანუ რამდენად არის სიუჟეტებში წარმოდგენილი გაშუქებული საკითხის გარშემო რამდენიმე განსხვავებული მოსაზრება; სიზუსტე (არის თუ არა შეცდომები სახელწოდებებში, რიცხვებში, რესპონდენტების ვინაობაში), გამოყენებული ლექსიკა და ყველა იმ მნიშვნელოვან ასპექტს რომელიც არ იზომება რაოდენობრივად. ასევე ყურადღება ექცევა საინფორმაციოებში კადრებითა და მუსიკით მანიპულირების შემთხვევებს.

მონიტორინგის სუბიექტები არიან: პარლამენტი (სპიკერი, ვიცე-სპიკერები, პარლამენტის წევრები, კომიტეტები, აპარატი); პრეზიდენტი (პრეზიდენტის ადმინისტრაცია, მრჩეველები, პრეს-სპიკერი); მთავრობა (პრემიერ-მინისტრი, მინისტრები, მინისტრის მოადგილეები, გუბერნატორები); ხელისუფლება (სპეციფიკაციის გარეშე, ანუ როდესაც დაუკონკრეტებლად ახსენებენ); ადგილობრივი თვითმმართველობა (მერები, საკრებულოების და გამგეობების თავმჯდომარეები); ცენტრალური საარჩევნო კომისია; არჩევნების დამკვირვებლები; სახელმწიფო აუდიტის სამსახური (არჩევნების კონტექსტში); ამომრჩეველთა სიების დაზუსტების უზრუნველყოფის კომისია („სია“); ერთიანი ნაციონალური მოძრაობა; ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო; კოალიცია ქართული ოცნება; თავისუფალი დემოკრატები; ეროვნული ფორუმი; საქართველოს რესპუბლიკური პარტია; საქართველოს კონსერვატიული პარტია; ხალხის პარტია; საქართველოს გზა; თავისუფალი საქართველო; ახალი მემარჯვენეები; დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველოსთვის; ეროვნულ-დემოკრატიული პარტია; ლეიბორისტული პარტია; მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს; საქართველოს დემოკრატიული პარტია; ქართული დასი; ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა; ევროპელი დემოკრატები; ამომრჩეველთა ლიგა; სახალხო კრება; ოპოზიცია (სპეციფიკაციის გარეშე, ანუ როდესაც დაუკონკრეტებლად ახსენებენ).


ეს სია საბოლოო არაა და შეიძლება შეიცვალოს იმ შემთხვევაში, თუ გამოჩნდება არჩევნებთან დაკავშირებული ახალი სუბიექტი.

საინფორმაციო გამოშვებების მონიტორინგის შედეგები არხების მიხედვით:


"25-ე არხი" (ქ. ბათუმი) - საინფორმაციო გამოშვებებში მონიტორინგის სუბიექტებიდან ყველაზე მეტი დრო. 17 წუთი კოალიცია "ქართულ ოცნებას" დაეთმო. გაშუქების 14 წუთი წილად ხვდა ადგილობრივ თვითმმართველობას, 8 წუთი - აჭარის მთავრობას.



სუბიექტებს უმეტესად ნეიტრალურ ტონში აშუქებდნენ. თუმცა, დაფიქსირდა პოზიტიური და ნეგატიური ტონებიც. ყველაზე მეტი ნეგატიური ტონი (35%) ერთიანი ნაციონალური მოძრაობის გაშუქებისას (დათმობილი დრო: 3 წუთი) გამოვლინდა. ხოლო ყველაზე მეტი (23%) პოზიტიური ტონი კოალიცია "ქართული ოცნების" გაშუქებისას.




კვალიცია "ქართული ოცნების", ადგილობრივი თვითმმართველობის, ოპოზიციის და პრეზიდენტის გაშუქებისას პირდაპირი/ირიბი საუბრის მაჩვენებლები თითქმის თანაბარი იყო. გაშუქების ასივე პროცენტი ირიბი იყო პარლამენტის შემთხვევაში. ასევე მაღალი იყო ირიბი გაშუქება ერთიანი ნაციონალური მოძრაობის (80%) და აჭარის მთავრობის (79%) გაშუქებისას.




ტელეკომპანია „25-ე არხმა“ საანგარიშო პერიოდის საინფორმაციო გამოშვებაში მნიშვნელოვანი დრო დაუთმო ზოგადად ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების გაშუქებას.

თანაბარი დრო ეთმობოდა სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ საკითხებს. აღსანიშნავია, რომ ჟურნალისტები ხშირად აქცენტს აკეთებდნენ მოსახლეობის პრობლემებზე და ცდილობდნენ კონკრეტული პასუხები ადგილობრივი თითმმართველობის და აჭარის მთავრობის წარმომადგენლებისგან მიეღოთ.


"რიონი" (ქ. ქუთაისი) - საინფორმაციო გადაცემებში 21 წუთი კოალიცია "ქართული ოცნების" გაშუქებას დაეთმო, 10 წუთი - ადგილობრივ თვითმმართველობას, 9 წუთი - მთავრობას.



სუბიექტები ძირითადად ნეიტრალურ ტონში იყვნენ გაშუქებულნი. ძალიან მცირე იყო პოზიტიურ და ნეგატიურ ტონში გაშუქების პროცენტული წილი. პოზიტიური ტონის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი (32%) ერთიანი ნაციონალური მოძრაობის (გაშუქების 3 წუთი) შემთხვევაში გამოვლინდა, ხოლო ნეგატიურ ტონში გაშუქების (10%) - მთავრობის.




კვალიცია "ქართული ოცნების" გაშუქებისას პირდაპირი საუბარი (66%) სჭარბობდა ირიბს (34%). ან თითქმის თანაბარი იყო (ერთიანი ნაციონალური მოძრაობა, პრეზიდენტი). სხვა შემთხვევებში ირიბი საუბრის წილი მეტი იყო, ხოლო პარლამენტის შემთხვევაში (დათმობილი დრო 5 წთ.) მხოლოდ არაპირდაპირი გაშუქება გვქონდა.




საინფორმაციო გამოშვებების მთავარი თემები ხელისუფლების გადაბარების პროცესსა და პარლამენტის პირველი სხდომის მოსამზადებელ სამუშაოებს უკავშირდებოდა. როგორც აღვნიშნეთ, ტელეკომპანია „რიონის“ ეთერში კვალიცია „ქართულ ოცნებას“ ორჯერ მეტი დრო დაეთმო, ვიდრე მომდევნო სუბიექტ „ადგილობრივ თვითმმართველობას“. სხვა სუბიექტებთან შედარებით, „ქართული ოცნების“ პირდაპირი გაშუქების მაჩვენებელიც (66%) მაღალია. ამასთან, კვალიცია ნეგატიურ ტონში არ გაშუქებულა.

ტელეკომპანია „რიონზე“ ყველა სუბიექტის გაშუქებისას ნეიტრალური ტონი სჭარბობდა, რისი ერთ-ერთი მიზეზიც ჟურნალისტის მიუკერძოებელი ტექსტია. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ჟურნალისტის მხრიდან სუბიექტური შეფასების გაკეთების ან რომელიმე სუბიექტის ტენდენციურად გაშუქების ფაქტები არ დაფიქსირებულა.


ქვემო ქართლის ტელე/რადიო კომპანია (ქ. რუსთავი) - არხის საინფორმაციო გამოშვებებში ყველაზე მეტი დრო, დაახლოებით 9 წუთი ადგილობრივ თვითმმართველობას დაეთმო. გაშუქების 5 წუთი წილად ხვდა ერთიან ნაციონალურ მოძრაობას, 3 წუთი - კოალიცია "ქართულ ოცნებას".



სუბიექტებს მხოლოდ ნეიტრალურ და პოზიტიურ ტონებში აშუქებდნენ:




კვალიცია "ქართული ოცნების" შემთხვევაში გაშუქების 100% ირიბ საუბარზე მოდიოდა, ხოლო ადგილობრივი თვითმმართველობის და ერთიანი ნაციონალური მოძრაობის შემთხვევებში პირდაპირი გაშუქება ბევრად მეტი იყო ირიბზე.




ქვემო ქართლის ტელე/რადიო კომპანია კვირაში 6 მთავრ საინფორმაციო გამოშვებას ამზადებს. ახალი ამბების გამოშვებების ქრონომეტრაჟი დაახლოებით 20 წუთს შეადგენს. საანგარიშო პერიოდში მომზადებულ გადაცემებში მნიშვნელოვანი დრო ეთმობოდა რეგიონში სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტის განხორციელებას. აღსანიშნავია, რომ ჟურნალისტები განსაკუთრებულ აქცენტს ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ დაფინანსებული პროექტების განხორციელებაზე აკეთებდნენ. მნიშვნელოვანი დრო დაეთმო

რუსთაველაქობის აღნიშვნისადმი მიძღვნილი აქტივობებისა და მოსამზადებელი სამუშაოების გაშუქებას. და მიუხედავად იმისა, რომ კვირის მთავარი მოვლენა ახალი მთავრობის ფორმირება და პარლამენტის პირველი სხდომის მოსამზადებელი სამუშაოები იყო, ამ საკითხებზე ყურადღება არ გამახვილებულა.


"ოდიში" (ქ. ზუგდიდი) - არხმა 2 წუთი დაუთმო ადგილობრივ თვითმმართველობას და წუთზე ოდნავ მეტი - კოალიცია "ქართულ ოცნებას". მონიტორინგის სხვა სუბიექტებზე საუბარი საერთოდ არ ყოფილა. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში სულ 9 სიუჟეტი მომზადდა, საიდანაც პოლიტიკურ პროცესებს მხოლოდ ერთი ეხებოდა. ამ შედეგებზე დაყრდნობით ძალიან რთულია რაიმე სახის ანალიზი გაკეთება.




"მე-9 არხი" (ქ. ახალციხე) - საინფორმაციო გამოშვებებში გაშუქების დაახლოებით 8 წუთი ჰქონდა კოალიცია "ქართულ ოცნებას", 4 წუთი - ერთიან ნაციონალურ მოძრაობას, 2 წუთი - ქრისტიან-დემოკრატიულ მოძრაობას.



სუბიექტების გაშუქების ტონი ძირითადად ნეიტრალური და პოზიტიური იყო. ნეგატიური ტონი (12%) გამოვლინდა მხოლოდ ერთიანი ნაციონალური მოძრაობის გაშუქებისას.




სუბიექტების გაშუქებისას პირდაპირი - ირიბი საუბრის პროცენტული მაჩვენებლები შემდეგნაირად გადანაწილდა:




საანგარიშო პერიოდში ტელეკომპანიამ აქტიურად გააშუქა როგორც ზოგადად ქვეყანასა და რეგიონში განვითარებული პოლიტიკური მოვლენები, ისე რეგიონის კულტურული და სპორტული ცხოვრება. ამ ღონისძიებებს (ახალციხის რაბათში სკოლის მოსაწვლეთათვის დებატების გამართვა, პრემიერა მესხეთის სახელმწიფო დრამატულ თეატრში, საფეხბურთო ჩემპიონატი ახალციხის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში) საინფორმაციო გამოშვებების დიდი ნაწილი ეთმობოდა. აღსანიშნავია, რომ ამ ტიპის სიუჟეტებში ნაკლებად გვხვდებოდა მონიტორინგისთვის საინტერესო სუბიექტები.

შეიძლება ითქვას, რომ "მეცხრე არხის" საინფორმაციო გამოშვებების სიუჟეტები დაბალანსებულია, ჩანს ჟურნალისტის მცდელობა გააშუქოს ყველა მხარე, ხოლო მის ტექსტში არ გვხვდება მიკერძოებული, ტენდენციური დამოკიდებულება რომელიმე სუბიექტის მიმართ.

"თანამგზავი" (თელავი) - არხის საინფორმაციო გამოშვებებში ყველაზე მეტი დრო, 19 წუთი კვალიცია "ქართულ ოცნებას" დაეთმო". გაშუქების 7 წუთი წილად ხვდა მთავრობას, 5-5 წუთი ერთიან ნაციონალურ მოძრაობას და ადგილობრივ თვითმმართველობას.




სუბიექტებს უმეტეს წილად ნეიტრალურ ტონში აშუქებდნენ. ყველაზე მაღალი ნეგატიური ტონი (22%) ადგილობრივი თვითმმართველობის მიმართ გამოვლინდა, ხოლო პოზიტიური (21%) - პრეზიდენტის (დათმობილი დრო დაახლოებით 2 წუთი) მიმართ.



სუბიექტებზე თანაბრად საუბრობდნენ როგორც სხვები, ასევე თავად სუბიექტები. ირიბი გაშუქების მახასიათებელი მაღალი იყო პარლამენტის (100%), პრეზიდენტის (100%), მთავრობის (77%), ადგილობრივი თვითმმართველობის (63%) შემთხვევებში. პირდაპირი


საუბარი სჭარბობდა (გაშუქების 2-2 წუთი) ცენტრალური საარჩევნო კომისიის (64%) და ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის (75%) შემთხვევებში.




საანგარიშო კვირის მანძილზე ტელეკომპანია „თანამგზავრი“ ყველაზე ხშირად კოალიცია „ქართული ოცნების“ საქმიანობას აშუქებდა: კოალიციას 19 წუთი დაეთმო, მომდევნო სუბიექტ „მთავრობას“ კი - 7 წუთი. ამასთან, კოალიცია ნეგატიურ ტონში არ გაშუქებულა. საინფორმაციო გამოშვებების კვირის მთავარი თემა ხელისუფლების გადაბარებასთან დაკავშირებული საკითხები იყო.

აღსანიშნავია, რომ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ჟურნალისტის მიკერძოებულობის და მისი მხრიდან სუბიექტური შეფასების გაკეთების ფაქტები არ დაფიქსირებულა.


"თრიალეთი" (ქ. გორი) - არხმა 17 წუთი ადგილობრივი თვითმმართველობის გაშუქებას დაუთმო, 9 წუთი - კოალიცია "ქართულ ოცნებას", 3-3 წუთი - მთავრობას და ცენტრალურ საარჩევნო კომისიას.



სუბიექტების გაშუქებისას სამივე ტონი გამოვლინდა. თუმცა კოალიცია "ქართულ ოცნებაზე" მხოლოდ პოზიტიურ (33%) და ნეიტრალურ (67%) ტონებში საუბრობდნენ. ხოლო მთავრობაზე - ნეიტრალურ (24%) და ნეგატიურ (76%) ტონებში. ასპროცენტიანი ნეიტრალური გაშუქება ჰქონდათ ცენტრალურ საარჩევნო კომისიას (დათმობილი დრო 3 წთ.) და ოპოზიციას (დათმობილი დრო 1,28 წთ.).




სუბიექტების გაშუქებისას უმეტეს შემთხვევებში ირიბი საუბარი სჭარბობდა პირდაპირს. მხოლოდ კოალიცია "ქართული ოცნების" შემთხვევაში იყო ეს მაჩვენებლები თითქმის თანაბარი.




ტელეკომპანია "თრიალეთი" კვირის განმავლობაში აქტიურად აშუქებდა ზოგადად ქვეყანასა და რეგიონში მიმდინარე მოვლენებს. საინფორმაციო გამოშვებების სიუჟეტები თემატურად მრავალფეროვანი იყო, თუმცა აქცენტი რეგიონში არსებულ პრობლემებზე კეთდებოდა. სიუჟეტებში საგრძნობლად იმატა ადგილობრივი ხელისუფლების პირდაპირი საუბრის მაჩვენებელმა, თუმცა ირიბი გაშუქება მაინც 72% შეადგენდა. უნდა აღინიშნოს, რომ 16 და 17 ოქტომბრის გამოშვებებში გამეორდა სიუჟეტი მოსახლეობისთვის პროდუქტების დარიგების შესახებ.

არხის საინფორმაციო გადაცემები მეტ-ნაკლებად დაბალანსებულია. მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ ჟურნალისტის ტექსტებში არ გვხვდება მიკერძოებული და ტენდენციური ფრაზები.

"გურია" (ქ. ოზურგეთი) - საინფორმაციო გამოშვებებში ყველაზე მეტი დრო, დაახლოებით 5 წუთი კოალიცია "ქართულ ოცნებას" დაეთმო 3 წუთი - ადგილობრივ თვითმმართველობას. სხვა სუბიექტებისთვის დათმობილი დრო წუთზე ნაკლებია.



ორივე გაშუქებულ სუბიექტზე სამივე ტონში საუბრობდნენ. თუმცა ნეიტრალური სჭარბობდა:




კვალიცია "ქართული ოცნების" გაშუქებისას პირდაპირი საუბარი (79%) ბევრად სჭარბობდა ირიბს, ხოლო ადგილობრივი თვითმმართველობის შემთხვევაში ირიბი გაშუქება (69%) იყო მეტი.

15-21 ოქტომბრის მანძილზე ტელეკომპანია "გურია" ძირითადად ადგილობრივ ამბებს აშუქებდა. გარდა პოლიტიკური მოვლენების გაშუქებისა მნიშვნელოვანი დრო დაეთმო

ოზურგეთში გამართულ კულტურულ და სპორტულ ღონისძიებებს. სუბიექტებში არ შეიმჩნეოდა ჟურნალისტის მიკერძოებული დამოკიდებულება გაშუქებული სუბიექტების მიმართ.

"მე-12 არხი" (ქ. ბოლნისი) - საანგარიშო პერიოდში ტელეკომპანიამ ერთი საინფორმაციო გადაცემა მოამზადა, რომელშიც მონიტორინგის სუბიექტების შესახებ სიუჟეტები არ გასულა.


"იმერვიზია" (ჭიათურა) - ტელეკომპანიამ მონიტორინგის მხოლოდ ორი სუბიექტი გააშუქა: 9 წუთი დაუთმო კოალიცია "ქართული ოცნებას", 7 წუთი - ადგილობრივ თვითმმართველობას.



სუბიექტები მხოლოდ ნეიტრალურ და პოზიტიურ ტონში გააშუქეს. გაშუქებისას პირდაპირი საუბარი ბევრად სჭარბობდა ირიბს: კოალიცია "ქართული ოცნება" - 79%, ადგილობრივი თვითმმართველობა - 86%.

საანგარიშო პერიოდში ტელეკომპანიამ აქტიურად გააშუქა ჭიათურის მადაროელთა გაფიცვა. ამ მოვლენებს 15 და 16 ოქტომბრის საინფორმაციო გამოშვებებში 15-15 წუთი დაეთმო. აღსანიშნავია, რომ საინფორმაციო გამოშვებებში სუბიექტების პირდაპირ საუბარს დიდი დრო ეთმობა. მაგალითად, 15 ოქტომბრის მეორე სიუჟეტში, კოალიცია "ქართული ოცნების" მაჟორიტარ დეპუტატ მალხაზ წერეთელს გაფიცულ მადაროელებთან საუბარს სამი წუთი დაეთმო. ამავე საინფორმაციო გამოშვების მესამე სიუჟეტში, სადაც ჭიათურის საკრებულოს სხდომის დეტალები იყო განხილული, გამგებლის მოვალეობის შემსრულებელს, ჯამში 6 წუთი დაეთმო.

"არგო" (ქ. ზესტაფონი) - არხმა 4 წუთი ადგილობრივ თვითმმართველობას დაუთმო, 3 წუთი - კოალიცია "ქართულ ოცნებას". მონიტორინგის სხვა სუბიექტები ფაქტიურად არ გაშუქებულან.




ორივე გაშუქებულ სუბიექტზე ნეიტრალურ ტონში საუბრობდნენ. ადგილობრივი თვითმმართველობის შემთხვევაში პირდაპირი/ირიბი გაშუქების მაჩვენებელი თანაბარი იყო, ხოლო კოალიცია "ქართული ოცნების" გაშუქებისას 100% ირიბი საუბარი გამოვლინდა.


15-21 ოქტომბრის მანძილზე ტელეკომპანია ძირითადად ადგილობრივ ახალ ამბებს აშუქებდა. შესაბამისად, საინფორმაციო გამოშვებებში ყველაზე მეტი დრო ადგილობრივ თვითმმართველობას დაეთმო. საანგარიშო პერიოდში არ ყოფილა რაიმე სტანდარტების დარღვევა ჟურნალისტების მხრიდან, სიუჟეტები დაბალანსებული იყო.

"ბორჯომი (ქ. ბორჯომი) - საანგარიშო პერიოდში ტელეკომპანიამ ერთი საინფორმაციო გადაცემა მოამზადა, რომელშიც მონიტორინგის სუბიექტების შესახებ სიუჟეტები არ გასულა. მონიტორინგის არცერთი სუბიექტისთვის 15 წამზე მეტი დრო არ დაუთმიათ, შესაბამისად არც რაოდენობრივი და არც თვისებრივი ანალიზისთვის საკმარისი ინფორმაცია არ დაგროვდა.


"მარნეული ტვ" (ქ. მარნეული) - საინფორმაციო გამოშვებებში ყველაზე მეტი დრო - 12 წუთი კვალიცია "ქართულ ოცნებას" დაეთმო. გაშუქების 2 წუთი წილად ხვდა პრეზიდენტს, ხოლო სხვა სუბიექტებს წუთი და წუთზე ნაკლები.



სუბიექტები ძირითადად ნეიტრალურ და პოზიტიურ ტონში იყვნენ გაშუქებულნი:




სუბიექტების გაშუქებისას პირდაპირი საუბარი ირიბზე მეტი იყო. 100% ირიბი გაშუქება ჰქონდა თავისუფალ დემოკრატიებს (დათმობილი დრო 61 წმ.)




საანგარიშო პერიოდში ტელეკომპანია "მარნეული" ძირითადად ქვეყანაში განვითარებულ მოვლენებს აშუქებდა, შედარებით ნაკლები დრო დაეთმო ადგილობრივ სიახლეებს. სიუჟეტებში ყველაზე მეტი დრო (12 წთ.) კვალიცია "ქართულ ოცნებას" დაეთმო. ეს დრო თითქმის ექვსჯერ აღემატება დროის მიხედვით მეორე ადგილზე მყოფი პრეზიდენტისთვის დათმობილ დროს. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ საანგარიშო პერიოდში კვალიცია "ქართული ოცნების" აქტივობების დონე მართლაც მაღალი იყო. რაც შეეხება ცალკეულ სიუჟეტებს, ისინი დაბალანსებულია, ჟურნალისტის ტექსტში არ იგმობოდა მიკერძოებული დამოკიდებულება.


"გურჯაანი" (ქ. გურჯაანი) - არხმა ყველაზე მეტი დრო, 11 წუთი კვალიცია "ქართულ ოცნებას" დაეთმო. გაშუქების 4 წუთი წილად ხვდა ადგილობრივ თვითმმართველობას, 3 წუთი - მთავრობას, 2 წუთი - პრეზიდენტს.



სუბიექტების გაშუქებისას სამივე ტონი გამოვლინდა. თუმცა, ნეიტრალური სჭარბობდა პოზიტიურსა და ნეგატიურს:




სუბიექტებზე თანაბრად საუბრობდნენ როგორც სხვები, ასევე თავად სუბიექტები:




საანგარიშო პერიოდში ტელეკომპანია „გურჯაანი“ აშუქებდა როგორც ზოგადად ქვეყანაში, ისე კახეთის რეგიონში განვითარებულ მოვლენებს. გადაცემები ქვეყანაში მიმდინარე ამბებით იწყებოდა, რომელსაც ადგილობრივი სიახლეები მოსდევდა. შეიძლება ითქვას, რომ საინფორმაციო გამოშვებები დაბალანსებულია, ჟურნალისტის ტექსტში არ შეინიშნება მიკერძოებული დამოკიდებულება რომელიმე სუბიექტის მიმართ.

"ლტვ" (ქ. ლაგოდეხი) - არხმა დაახლოებით 5 წუთი დაუთმო კოალიცია "ქართულ ოცნებას", 2 წუთი - ადგილობრივ თვითმმართველობას, ხოლო წუთზე ოდნავ მეტი - პრეზიდენტს.




კვალიცია "ქართული ოცნებისა და ადგილობრივი თვითმმართველობისთვის დათმობილი დროის ასივე პროცენტი ნეიტრალურ ტონში გაშუქდა, ხოლო პრეზიდენტის შემთხვევაში ნეგატიურსა (93%) და და ნეიტრალურში (7%). კვალიციის გაშუქებისას ადგილი ჰქონდა როგორ პირდაპირ (33%), ასევე ირიბ (67%) საუბარს. სხვა შემთხვევებში გაშუქების ასივე პროცენტი ირიბ საუბარზე მოდიოდა. კვლევის ამ შედეგებზე დაყრდნობით რთულია თვისებრივი ანალიზის გაკეთება, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ რომელიმე სუბიექტის მიკერძოებულად გაშუქების ფაქტები არ დაფიქსირებულა.


"შეგა ტვ" (ქ. ხონი) - საინფორმაციო გამოშვებებში 11 წუთი კვალიცია "ქართულ ოცნებას" დაეთმო, 7 წუთი - ერთიან ნაციონალურ მოძრაობას, ხოლო 5-5 წუთი ადგილობრივ თვითმმართველობას და პრეზიდენტს.



სუბიექტებს ძირითადად ნეიტრალურ ტონში აშუქებდნენ. თუმცა გამოვლინდა ნეგატიური და პოზიტიური ტონებიც. ნეგატიური გაშუქების 35% დაფიქსირდა ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მიმართ, ხოლო 31% - ადგილობრივი თვითმმართველობის მიმართ.




სუბიექტების გაშუქების პირდაპირი - ირიბი საუბრის მაჩვენებლები თითქმის თანაბარი იყო. მხოლოდ პრეზიდენტის შემთხვევაში (გაშუქების 5 წუთი) პირდაპირი საუბარი (85%) ბევრად სჭარბობდა ირიბს (15%).




15-21 ოქტომბრის მანძილზე ტელეკომპანია „მეგა ტვ“ შეფერხებებით მაუწყებლობდა, რადგან შენობაში, სადაც კომპანიაა განთავსებული, მომხდარი ხანძრის გამო კომუნიკაციები დაზიანდა. ტელეკომპანიამ მაუწყებლობის აღდგენა 17 ოქტომბერს მოახერხა, თუმცა ეთერში მაინც 5 გადაცემა გავიდა. საინფორმაციო გამოსვებებში გაშუქდა როგორც რეგიონში, ასევე ქვეყანაში მიმდინარე მოვლენები. სუბიექტები დაბალანსებულია, ხოლო ჟურნალისტების ტექსტები ნეიტრალური.

"ზარი" (სამტრედია) - საანგარიშო პერიოდში ტელეკომპანიამ ორი საინფორმაციო გადაცემა მოამზადა, რომელშიც მონიტორინგის სუბიექტების შესახებ სიუჟეტები არ გასულა.


"მე-9 ტალღა" (ფოთი) - არხის საინფორმაციო გამოსვებებში ყველაზე მეტი დრო, 9 წუთი, ადგილობრივი თვითმმართველობის გაშუქებას დაეთმო, 8 წუთი - კოალიცია "ქართულ ოცნებას", 6 წუთი - მთავრობას.



სუბიექტების გაშუქებისას სამივე ტონი გამოვლინდა, თუმცა ნეიტრალური სჭარბობდა. ნეგატიურ ტონში გაშუქების 57% ერთიანი ნაციონალური მოძრაობის (დათმობილი დრო 1,36 წთ.) მიმართ გამოვლინდა. ხოლო პოზიტიურ ტონში გაშუქების 14% - კვალიცია "ქართული ოცნები" მიმართ



ადგილობრივი თვითმმართველობის შემთხვევაში თითქმის თანაბარი იყო პირდაპირი - ირიბი საუბრის პროცენტული მახასიათებლები. ხოლო კვალიცია "ქართული ოცნების" გაშუქებისას პირდაპირი საუბარი (71%) ბევრად სჭარბობდა ირიბს (29%). დანარჩენ სუბიექტებზე საუბრისას კი, პირიქით, ირიბი საუბარი ბევრად მეტი იყო.



საანგარიში პერიოდში ტელეკომპანია „მე-9 ტალღამ“ გააშუქა, როგორც ქალაქ ფოთის ადგილობრივი ამბები, ასევე სხვა რეგიონული ტელეკომპანიებისა და „საქართველოს რეგიონულ მაუწყებელთა ასოციაციის“ მიერ მოზადებულ სიუჟეტები. სიუჟეტების უმეტესობა დაბალანსებულია და არც ჟურნალისტის მიკერძოებულობის შემთხვევა დაფიქსირებულა.

მომავალში განსახორციელებელი სამუშაო:

22-28 ოქტომბრის მანძილზე განხორციელდება რეგიონალური მაუწყებლების მონიტორინგის მეთორმეტე ეტაპი.



ანგარიში შექმნილია ამერიკელი ხალხის მხარდაჭერით აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს საშუალებით. მის შინაარსზე პასუხისმგებელია "ინტერნიუსი-საქართველო" და იგი არ ასახავს საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის, აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ან აშშ-ს მთავრობის შეხედულებებს.